კონცენტრაციის აპლიკაციის განხილვის საფასური ქვეყნების მიხედვით

დანართი N6

	ქვეყანა	საფასურის ოდენობა	დადგენის / გადახდის მეთოდი
1)	ამერიკის შეერთებული შტატები	➢ 152.5 მილიონ $-ზე ნაკლებ გარიგებაზე - 45,000$; ➢ 152,5-დან 762.7 მილიონი $-ის ფარგლებში - 125,000$; ➢ 762.7-ზე მეტი ღირებულების გარიგებაზე - 280,000$	საფასური გამოითვლება ტრანზაქციის შედეგად მიღებული ფასიანი ქაღალდების/აქტივების ჯამური ღირებულებიდან. მხარეებს შეუძლიათ გაიყონ გადასახადი.
2)	დიდი ბრიტანეთი	40,000-დან 160,000 ფუნტამდე - დაახლოებით 47,000 – 190,000 ევროს ეკვივალენტი	საფასური განსხვავდება გარიგების სახეობიდან და სიდიდიდან გამომდინარე. ზოგიერთი მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელი თავისუფლდება გადასახადისაგან.
3)	ავსტრია	➢ I ფაზა[1] - 1,500 ევრო; ➢ II ფაზა[2] - 34,000 ევრო.	
4)	შვეიცარია	➢ I ფაზის დროს- 5,000 შვეიცარული ფრანკი - დაახლოებით 4,600 ევრო; ➢ II ფაზის დროს, განხილვაზე დახარჯული დროის მიხედვით, საათში 100-400 შვეიცარული ფრანკი - 90-370 ევრო.	კონცენტრაციის ბუნების გადაუდებელი აუცილებლობით განხილვის საჭიროებიდან გამომდინარე იზრდება საათობრივი საფასური.
5)	ესპანეთი	➢ 5,502.15 ევრო - ბრუნვა არ აღემატება 240 მილიონ ევროს; ➢ 11,004.31 ევრო - ბრუნვა 240-დან 480 მილიონ ევრომდე შუალედში; ➢ 22,008.62 ევრო - ბრუნვა 480 მილიონი ევროდან 3 მილიარდ ევრომდე; ➢ 43,944 ევრო - ბრუნვა აღემატება 3 მილიარდ ევროს და დამატებით; ➢ 11,004.31 ევრო ყოველ 3 მილიარდიან გადაცილებაზე;	საფასურის გამოთვლა ხდება ქვეყანაში კომპანიების ერთობლივი ბრუნვის ოდენობიდან. საფასურის გადახდა ხდება წინასწარ და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი თან უნდა ერთვოდეს განაცხადს.

[1] დადგენილია გამარტივებული გზით განხილვისთვის (მარტივი ქეისების დროს)
[2] შედარებით რთული ქეისების დროს, რაც საჭიროებს დიდი მოცულობის სამუშაოს.

		➢ 109,860 ევრო - საფასურის მაქსიმალური ოდენობა; ➢ გამონაკლისის სახით, მცირე ზომის კომპანიებისთვის 1,500 ევრო არის საფასური.	
6)	პოლონეთი	5,000 ზლოტი - დაახლოებით 1,100 ევროს ეკვივალენტი	
7)	ჰოლანდია	17,450 ევრო	
8)	ირლანდია	8,000 ევრო	
9)	ინდოეთი	➢ I ფაზაში - 1,5 მილიონი რუპია - დაახლოებით 20,000 ევროს ეკვივალენტი; ➢ II ფაზაში - 5 მილიონი რუპია - დაახლოებით 70,000 ევროს ეკვივალენტი.	საფასურის გადახდა შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთობლივად კომპანიების მიერ. ეს დამოკიდებულია კონცენტრაციის სამართლებრივ ბუნებაზე.
10)	უნგრეთი	➢ I ფაზაში - 4 მილიონი ფორინტი - დაახლოებით 12,000 ევროს ეკვივალენტი; ➢ II ფაზაში - 12 მილიონი ფორინტი - დაახლოებით 38,000 ევროს ეკვივალენტი.	საფასურის გადახდა ხდება განცხადების წარდგენისას.
11)	საბერძნეთი	➢ 1,100 ევრო	
12)	გერმანია	➢ 50,000 ევრო - მაქსიმალური ოდენობა; ➢ 3,000-15,000 ევრო - საშუალოდ, ისეთ საქმეებზე, რომელსაც დიდი ზეგავლენა არ აქვს გერმანიის ბაზარზე; ➢ 100,000 ევრო - გამონაკლის შემთხვევებში, მხოლოდ განსაკუთრებით რთულ საქმეებზე.	უწყება წყვეტს საფასურის ოდენობას როგორც მისი ადმინისტრაციული ხარჯების, ასევე, ტრანზაქციის ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალიწინებით. გარდა ამისა, გერმანიის კონკურენციის უწყებას შეუძლია მოითხოვოს დამატებითი ექსპერტების (მაგ. ეკონომისტების) დაქირავებისათვის გადახდილი

კონცენტრაციის აპლიკაციის განხილვის საფასური ქვეყნების მიხედვით

			საფასურის ანაზღაურება კონცენტრაციის მხარეებისგან.
13)	ესტონეთი	1,920 ევრო	
14)	დანია	➢ გამარტივებულ პროცედურებზე - 50,000 კრონერი - დაახლოებით 6-7 ათასი ევროს ეკვივალენტი; ➢ გამარტივებული პროცედურის გარეშე მხარეების ბრუნვის 0,015 პროცენტი. საფასურის მაქსიმალურმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს 1,5 მილიონ კრონერს - დაახლოებით 200,000 ევროს ეკვივალენტი.	
15)	ჩეხეთი	100,000 კრონა - დაახლოებით 3-4 ათასი ევროს ეკვივალენტი.	
16)	კვიპროსი	➢ I ფაზა - 1,000 ევრო; ➢ II ფაზა - 6,000 ევრო.	
17)	კანადა	50,000 კანადური დოლარი - დაახლოებით 35,000 ევროს ეკვივალენტი	როგორც წესი საფასურს იხდიან მხარეები შეთანხმებისამებრ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე.
18)	ბულგარეთი	2,000 ლევი - დაახლოებით 1000 ევროს ეკვივალენტი; მაქსიმუმ 60,000 ლევი - 30,000 ევრო საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე.	
19)	ბრაზილია	45,000 რეალი - დაახლოებით 12,000 ევროს ეკვივალენტი.	
20)	ავსტრალია	25,000 ავსტრალიური დოლარი - დაახლოებით 17,000 ევროს ეკვივალენტი	
21)	უკრაინა	5100 გრივნა - დაახლოებით 180 ევროს ექვივალენტი	შენიშვნა: ტრანზაქციის ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება, ერთი კონცენტრაციის დროს რამდენიმე შეტყობინება გაკეთდეს მხარეების მიერ.

კონცენტრაციის აპლიკაციის განხილვის საფასური ქვეყნების მიხედვით

მომსახურების საფასური არ არის დადგენილი შემდეგ ქვეყნებში: **თურქეთი, იტალია, შვედეთი, ლატვია, იაპონია, ისრაელი, საფრანგეთი, ფინეთი, ჩინეთი, ბელგია.**